

ადრეული ბილინგვიზმის გავლენა აზროვნების განვითარებაზე

ხატია ალანია

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების
ფსიქოლოგიის და კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ნათელა იმედაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

აბსტრაქტი

ბილინგვიზმის მრავალი დეფინიცია არსებობს. მეცნიერთა ყველაზე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბილინგვიზმი გულისხმობს ორი ან მეტი ენის მშობლიური ენის დონეზე ფლობას, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ბილინგვიზმთან გვაქვს საქმე მაშინაც, როცა ერთი ენის მომხარებელს შეუძლია შინაარსობრივად გამართული აზრის გამოხატვა მეორე ენაზეც. ბილინგვური განათლება და ბილინგვიზმი კამათის საგანია საზოგადოებაშიც და სამეცნიერო წრეებშიც. ხშირია, როცა მასწავლებლები, ფსიქოლოგები, თერაპევტები მშობლებს რეკომენდაციას აძლევენ, რომ არ აღზარდონ შვილი ბილინგვურად. ბილინგვიზმთან დაკავშირებით მათ მიერ სხვადასხვა პრობლემები სახელდება: ტვინთან დაკავშირებული პრობლემები, გაორებული იდენტობა, მენტალური აღრევა, შიზოფრენია და სხვა.

მოცემული ნაშრომის მიზანია გამოარკვიოს ის, თუ რა კავშირი არსებობს ადრეულ ბილინგვიზმსა და ბავშვის აზროვნების განვითარებას შორის. კვლევის ფარგლებში შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს: ორი ენის ფლობა მართლა უშლის ხელს ეფექტურად აზროვნებას? ბილინგვალეები ნაკლებად ინტელექტუალები არიან, ვიდრე მონოლინგვალეები ორი ენობრივი სისტემის ასრებობის გამო? განვიხილავთ ინტელექტს ბილინგვიზმის კონტექსტში და ვიმსჯელებთ თუ რამდენად მართებულია ის აზრი, რომ მონოლინგვალეები და ბილინგვალეები განსხვავდებიან აზროვნების სტილისა და ინფორმაციის პროცესირების თვალსაზრისით. კვლევაში მიმოვიხილავთ როგორც ადრეულ, ისე თანამედროვე კვლევებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ბილინგვიზმის უპირატესობებს ბავშვის შემოქმედებით აზროვნების განვითარების პროცესში. გარდა ამისა, განვიხილავთ იმ კვლევების შედეგებსაც, რომლებიც ბილინგვიზმს განიხილავენ როგორც უარყოფით მოვლენას.

ნაშრომის პირველ ნაწილში განვიხილავთ ბილინგვიზმის ტიპებს. მეორე ნაწილში ვისაუბრებთ აზროვნების განვითარების თავისებურებებზე. კვლევის ფარგლებში შევეცდებით დავამტკიცოთ ან უარყოთ ჩვენი თეორია, რომლის თანახმადაც ბილინგვიზმი გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების განვითარებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბილინგვიზმი, მონოლინგვიზმი, აზროვნების განვითარება

მადლობა

მსურს დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანს, რომლის გარეშეც ვერ შევძლებდი ამ ნაშრომზე მუშაობას. მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ ნათელა იმედაძეს მხარში დგომისთვის, დახმარებისა და მოტივაციის მოცემისთვის. კვლევის ფარგლებში არაერთ სირთულესთან მომიწია გამკლავება და რომ არა ქალბატონი ნათელას მხარში დგომა ძალიან გამიჭირდებოდა ამ სიმძნელებისთვის თავის გართმევა. მადლობელი ვარ მისი ფასდაუდებელი რჩევებისა და მორალური მხარდაჭერისთვის. მუშაობის ყოველ ეტაპზე ვგრძნობდი ქალბატონი ნათელას ჩართულობას და მისი უდიდესი მონდომების შედეგია ის, რომ ეს ნაშრომი დაიწერა და მე ვარ ძალიან ამაყი იმით, რომ ქალბატონ ნათელა იმედაძესთან ერთად მუშაობის ბედნიერება მხვდა წილად.